საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

# დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030661553577019

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

**#06/2083** **05 / ივნისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის –„ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ 2018-2022 წლების სტრატეგია დამტკიცდა 2018 წლის აგვისტოში. არსებული გამოწვევებისა და ქვეყნის განვითარების მიზნების საპასუხოდ, დკსჯეცს ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრული აქვს 7 ძირითადი მიმართულება: გადამდები დაავადებები, არაგადამდები დაავადებები, გარემო და ჯანმრთელობა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობები, სამეცნიერო საქმიანობა, ჯანდაცვის ინფორმაციული სისტემები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მართვა. სტრატეგიის განხორციელების პროცესში მუშავდება ყოველი წლის სამოქმედო გეგმა შესაბამისი მიზნებით და ამოცანებით, ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებზე დაყრდნობით. სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების გათვალისწინებით, ცენტრის პრიორიტეტია კლიმატის ცვლილებისა და გარემო ფაქტორების ზემოქმედებით განპირობებული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობების და სიკვდილიანობის პრევენცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შიდა სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე, ჩამოყალიბდეს ცენტრის საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული პირველადი სტრუქტურული ერთეული - გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი, რომელიც ამ ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ერთი ქვემიმართულებით - გარემოს რისკ-ფაქტორების შეფასების და მონიტორინგის სამმართველო. გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტში გათვალისწინებულია 6 საშტატო ერთეული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ ევროკავშირის დატყუპების პროექტის (TWINING) სამუშაო ჯგუფის საბოლოო ანგარიშის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის –„ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში რეკომენდირებულია შეიქმნას გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი. ამ მიმართულების ორგანიზაციული მოწყობის ეს ფორმა ხელს შეუწყობს გარემოს ჯანმრთელობის არსებული სისტემის გაძლიერებას ეროვნულ დონეზე, ყველა დაინტერესებული უწყების/ორგანოს პასუხისმგებლობის ჯაჭვის, მოვალეობების და ამოცანების განსაზღვრით, უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს და ასევე ევროკავშირთან

ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას გარემოს ჯანმრთელობის სფეროში. გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას - ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების ხელშეწყობა“, ასევე პროგრამის ფარგლებში სამომავლოდ თანამედროვე ლაბორატორიის ჩამოყალიბებას ტყვიის შემცველობის დადგენის მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩასატარებლად.

ჩვენი ცენტრის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება გულისხმობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მართვის გაძლიერებას ქვეყანაში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მართვაში არსებული გამოწვევები მულტისექტირული და კომპლექსურია. დკსჯეც ამ სისტემაში წამყვან მეთოდურ როლს ასრულებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებითა და თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვილი 9 რეგიონული სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით, კოორდინირებას უწევს ქვეყნის მასშტაბით არსებულ საზოგაროებრივი ჯანდაცვის მუნიციპალურ ცენტრებს. ზემოაღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ცენტრის ორი პირველადი სტრუქტურული ერთეულის გაერთიანებით, სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის ჩამოყალიბება.

დამატებით გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი განახლებული საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს საშტატო რიცხოვნობის ზრდას და დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფას სახელფასო ფონდისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრის სახელფასო ფონდის ზრდა განხორციელებულია სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში - დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა და ცენტრის ეკონომიკური შემოსავლებიდან არსებული რესურსების ხარჯზე. ამასთანავე, ახალი სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტდება ცენტრში დასაქმებული კვალიფიციური და ამ პროფილით გადამზადებული კადრებით, მათ შორის აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებში. წინამდებარე სტრუქტურა და საშტატო განრიგი უზრუნველყოფს ცენტრის სტრატეგიის განახორციელებას, მიმდინარე პროცესების ეფექტიანად მართვას და, რაც მთავარია არსებული ადამიანური რესურსის უკეთ გამოყენებას.

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2019 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის პროექტს.

გთხოვთ, 2019 წლის განახლებული საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი ძალაში შევიდეს 2019 წლის პირველი ივლისიდან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე